

ელენე ცხვარიაშვილი
საფარო მმართველობის დოქტორი
დამოუკიდებელი მკვლევარი
თბილისი, საქართველო

მთარგმნელის სოციალური და დისკურსული იდენტობის გავლენა თარგმანის ხარისხზე

თემისები: დღეისათვის არა ერთი ნაშრომი ეძღვნება იმ კითხვაზე პასუხის გაცემას, შესაძლებელია თუ არა მწერლობის ისეთ ტიპებად დაყოფა, როგორებიცაა „ქალური მწერლობა/ მამაკაცური მწერლობა“. ამ საკითხის ირგვლივ, როგორც ლიტარატურის კრიტიკოსებს, ასევე თავად მწერლებს განსხვავებული შეხედულება აქვთ.

რაც შეეხება ქართველ მწერლებს, ვფიქრობ, მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მწერლობის ასეთი კლასიფიკაცია შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ ასეთ დიქოტომიას – ქალური თარგმანი/მამაკაცური თარგმანი – თარგმანის შეფასების დროსაც ვხვდებით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნაირა გელაშვილის რომანი პირველი ორი წელ და ყველა სხვა, რომლის პერსონაჟები სხვადასხვა ენებიდან ქართულად ნათარგმნ ტექსტებს ორიგინალს ადარებენ. ერთ-ერთი მათგანი, შარლ ბოდლერის ერთი და იგივე ლექსის ორი სხვადასხვა მთარგმნელის მიერ განხორციელებული თარგმანის შედარების დროს, დასკვნის, რომ მაშინვე იგრძნო, ამ ორი მთარგმნელიდან რომელი იყო კაცი და რომელი ქალი.

ჩვენს სტატიაში ერთმანეთს შევადარებთ შარლ ბოდლერის რამდენიმე ლექსის სხადასხვა დროს მამაკაცი და ქალი მთარგმნელების მიერ განხორციელებულ თარგმანებს, რომ დავადგინოთ, რამდენად განაპირობებს მთარგმნელის ბიოლოგიური სქესი, მისი მსოფლებელი (საგნების აღქმა, რომელიც მატერიალიზდება სტილში, ფორმაში, მეტაფორებში, ტონში და ქმნის ხმას, ტექსტის ხმას), მისი სოციალური და დისკურსული იდენტობა თარგმანის ხარისხს და შეგვიძლია თუ არა, ვისუბროთ ქალურ თარგმანსა და მამაკაცურ თარგმანზე. რა კრიტერიუმებით შეიძლება ასეთი განსხვავების დადგენა.

Problèmes traductologiques: analyse et solutions

საკვანძო სიტყვები: მთარგმნელი, სოციალური იდენტობა, დისკურსული იდენტობა, ქალური თარგმანი, მამაკაცური თარგმანი

Abstract: Nowadays, no work has been devoted to answering the question of whether it is possible to classify writing as «feminine / masculine». Both literary critics and writers have a different view on this issue.

As for Georgian writers, I think most of them think that such a classification of writings is possible. It is noteworthy that we also encounter such dichotomy – feminine translation / masculine translation – when evaluating translation.

Naira Gelashvili's novel «The First Two Circles and Everything Else» is interesting in this respect, whose characters compare texts from different languages to the original Georgian. One of them, in comparing the translations of two different translators of the same poem by Charles Bodler, concludes that he immediately felt which of the two translators was male and female.

In our paper, we compare translations of male and female translators of several poems by Charles Bodler to determine the extent to which the translator's biological sex, his outlook (perceptions of material that materialize in style, form, metaphors, tone and sound, text sound) and social and discursive identity is the quality of translation. In the present article we deal with the question of the criteria to make a distinction between feminine and masculine translation.

Keywords: translator, social identity, discursive identity, feminine translation, masculine translation

დღეს მსოფლიოში გენდერული თანასწორობა ერთ-ერთი აქტუალური თემაა. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების აზრი ცალსახა არ არის. ერთი მხრივ, არსებობს ტენდენცია, რომ ქალის უმთავრესი და ხშირად ერთადერთი როლი ოჯახის შექმნა, დიასახლისობა და დედობაა, ხოლო მეორე მხრივ, არა ერთი კრიტიკული მოსაზრება გამოიტემულა მსგავსი მიდგომის საპირისპიროდ და დღესაც ბევრი ადამიანი იმაღლებს ხმას ამ საკითხის მიმართ არსებული სტერეოტიპების წინააღმდეგ.

ფემინისტური მოძრაობის უმთავრესი მიზანი ქალებისა და კაცების თანასწორობის მიღწევაა. თანასწორობის ყველაზე გავრცელებული

გაგება გულისხმობს, რომ ქალებისა და კაცების ძირითადი შესაძლებლობები თანაბარია. გარდა ამისა, მათი საქმიანობა ერთნაირი ღირებულებისა უნდა იყოს. მიუხედავად ამ აღიარებისა, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ფემინისტების ნაწილი ხშირად მიუთითებდა ქალსა და კაცს შორის არსებულ განსხვავებაზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქალებს მამაკაცებისაგან განსხვავებული სპეციფიკური უნარები და მახასიათებლები აქვთ. მათ შორის აღსანიშნავია განსხვავება ქალთა და მამაკაცთა ენობრივ ქცევას შორის, რაზეც ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში უკვე მე-17 საუკუნიდან იყო საუბარი.

იმავდროულად, ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ისევე როგორც ნებისმიერი ორიგინალური ნაწარმოების ავტორი იგონებს განსაკუთრებულ ენას საერთო ენის შიგნით, ასევე ნებისმიერი მთარგმნელი, რომელიც მოიაზრება როგორც თანაავტორი, რომელიც ხელახლა ქმნის ორიგინალს სხვა ენაზე, სხვა ენობრივი, სტილისტური, რიტორიკული საშუალებებით, ამას აკეთებს განსაკუთრებული ენის გამოვრნებით, რომელიც განსხვავდება იმავე ნაწარმოების სხვა მთარგმნელის ენისაგან და რომელიც წარმოადგენს იმავე ტექსტის სხვაგვარი წაკითხვის, გაების, ინტერპრეტაციის შედეგს. ეს განსხვავებულობა შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით, რომელთაგან ერთ-ერთი, ჩვენის აზრით, გენდერული თავისებურებაა და რომელიც გამოიხატება სამყაროს განსხვავებულ აღქმაში და ამ სამყაროს განსხვავებულ გამოხატვაში

მართლაც, სქესს სოციალური მდგომარეობის გამომხატველი თავისი ენობრივი ფორმები, კონტექსტუალური საშუალებები აქვს. ენა, ისევე როგორც ტანსაცმელი, ცხოვრების წესი, ავტომობილი, ჰობი და ა.შ. სოციალური შეფასების სიმბოლური განსახიერებაა. ის გვაწვდის ინფორმაციას ინდივიდის სოციალური ფენის, კუთვნილების, პროფესიის, ასაკის, წარმომავლობის შესახებ.

ქალი და მამაკაცი გენდერით განპირობებული სხვადასხვა სუბკულტურული ფენომენებია და სწორედ ეს არის მათი ენობრივი სხვაობის მიზეზი.

გენდერულ ასპექტებს მთარგმნელობით სფეროშიც განიხილავთ. ამ კუთხით, გამოყოფენ ორ მიმართულებას: პირველი ეხება ენის გენდერულ თავისებურებებს, ხოლო მეორე ორიენტირებულია მთარგმენლის მიერ გენდერული განსხვავებების იდენტიფიკაციაზე (დევაძე, ვერბალური ქცევის გენდერული თავისებურებანი).

თარგმანის გენდერული თავისებურებანი ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი, ამიტომაც საკითხი ძალზე აქტუალურია. ნებისმიერი მთარგმნელი, ყველაზე ნიჭიერი და გამოცდილიც კი, თარგმნის

Problèmes traductologiques: analyse et solutions

სირთულეების წინაშე აღმოჩნდება, რადგანაც მას უხდება ტექსტის გადატანა სხვა კულტურულ გარემოში სხვა ფონზე ცოდნის და სხვა ინტერტექსტუალური გამოცდილებით.

თარგმანი „ბიკულტურული“, კულტურათაშორისი კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა. იმავდროულად, ხშირად სწორედ კულტურული თავისებურებები განაპირობებს იმ სირთულებს, რომელთა დაძლევის წინაშე შეიძლება ნებისმიერი მთარგმნელი აღმოჩნდეს. თარგმანი ცოდნის პრობლემების გამოკვეთის და მათი გადაჭრის გზების პოვნის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი სამიზნე და ორიგინალი ტექსტების შედარებითი ანალიზია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრადუქტოლოგიური პრობლემა გენდერული ფაქტორის გაუთვალისწინებლობაა.

ინგლისური, ფრანგული, რუსული და სხვა ენებიდან ქართულ ენაზე თარგმნისას აშკარად ვლინდება სქესის კატეგორიის გადმოცემის პრობლემები, ვინაიდან ქართულში არ არსებობს სქესის გრამატიკული კატეგორია, ის მხოლოდ ლექსიკური საშუალებებით გადმოიცემა. ან, პირიქით, ქართული ენიდან თარგმნისას მთარგმნელი ყურადღებით უნდა იყოს, რათა არ აერიოს სქესის გამოხატვის ძირითადი და დამატებითი საშუალებები (არტიკლები, მორფები, შეხამებული ზედასართავის ფორმები, ზმნები და სხვ.). მხატვრული თარგმანის პროცესში ამას შეიძლება მიენიჭოს განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა (კობახიძე, გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგია ტიპოლოგიურ ჭრილში).

ვიდრე თარგმანის ხარისხზე მთარგმნელის სქესის თავისებურებების გავლენას შვეხებოდეთ, გავიხსენოთ, რომ დღეისათვის არა ერთი ნაშრომი ეძღვნება იმ კითხვაზე პასუხის გაცემას, შესაძლებელია თუ არა მწერლობის ისეთ ტიპებად დაყოფა, როგორიცაა „ქალური მწერლობა/მამაკაცური მწერლობა“. ამ საკითხის ირგვლივ, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსებს, ასევე თავად მწერლებს განსხვავებული შეხედულება აქვთ.

პუბლიკაციის ნორმებიდან გამომდინარე ამ საკითხს დეტალურად ვერ შვეხებით, მაგრამ საგსებით ვიზირებთ ფრანგი მწერლის, საფრანგეთის აკადემიის პირველი ქალი წევრის, მარგერიტ იურსენარის მოსაზრებას, რომელიც მიიჩნევს, რომ ის თვისებები, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებულია როგორც ქალური – სინაზე, სისუსტე, პასიურობა, მოთმენა, და ა.შ. – მხოლოდ ქალებისთვის არ არის დამახასიათებელი, ისევე როგორც ის თვისებები, რომლებიც საყოველთაოდ არის მიჩნეული როგორც მამაკაცური – სიფიცხე, სიმკაცრე, სიძლიერე, აქტიურობა, მოუთმენლობა და ა.შ – მხოლოდ მამაკაცებისთვის არ არის დამახასიათებელი.

ერთ-ერთ ინტერვიუში ის ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს:

ვისურვებდი, რომ ეს ურთიერთშემავსებელი ღირსებები ყველას კეთილდღეობას მოხმარდეს. მაგრამ იმ განსხვავებების გაუქმება, რომლებიც სქესებს შორის არსებობს, როგორი ცვალებადიც და გაურკვეველიც შეიძლება ეს სოციალური და ფსიქოლოგიური განსხვავებები იყოს, მეჩვენება სავალალოდ, როგორც ყველაფერი ის, რაც ჩვენს დროში ადამიანს უბიძგებს მოსაწყენი ერთგვაროვნებისკენ. (Yourcenar, *Les yeux ouverts* 267-268)

რაც შეეხება ქართველ მწერლებს, ვფიქრობ, მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მწერლობის ასეთი კლასიფიკაცია შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ ასეთ დიქოტომიას – ქალური / მამაკაცური – თარგმანის შეფასების დროსაც ვხვდებით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თანამედროვე ქართველი მწერლის, ნაირა გელაშვილის რომანი პირველი ორი წელ და ყველა სხვა. აღნიშნულ ნაწარმოებში ერთ-ერთი პერსონაჟი ერთმანეთს ადარებს შარლ ბოდლერის *Au lecteur* (მკითხველს) ორ თარგმანს ერთი სტროფის პირველი ორი სტრიქონის მაგალითზე:

*Ainsi qu'un débauché pauvre qui baise et mange
Le sein martyrisé d'une antique catin,
Nous volons au passage un plaisir clandestin
Que nous pressons bien fort comme une vieille orange.*

კაცის თარგმანში ეს ორი სტრიქონის ასე ყდერს:

როგორც გარყვნილი ვაჟბატონი კოცნის და ლოშნის
ძველი მეძავის მკერდს, მუდმივი სრესით მოჩვარულს

ქალის თარგმანი კი ასეთ ვერსიას გვთავაზობს:

როგორც დატაკი, მთვრალი კაცი ულოშნის ხარბად
ძველისძველ კახპას განაწამებ ძუძუებს ვნებით

რომანის პერსონაჟი ფლორა ბერძენიშვილი-ილიადი ამბობს, რომ ამ ორი თარგმანის შედარების დროს, მან მაშინვე იგრძნო, რომ ენგელაძე ქალი იყო და ადრიანი (ფსევდონიმი) კაცი, ვინაიდან ეს უკანასკნელი „დაუნდობლად, თანაგრძნობის გარეშე ახსენებს კაცსაც და ქალის მკერდსაც“. მისი აზრით, დაბუსტებას „მუდმივი სრესით მოჩვარულს“ უხამსობა შემოაქვს. ქალი ენგელაძე კი ხაზს უსვამს, რომ კაცი „დატაკი“ და მთვრალია, მეძავს კი „განაწამები ძუძუები“ აქვს (როგორც ორიგინალშია). ის არ იტყოდა „მუდმივი სრესით მოჩვარული ძუძუები“, რადგან თვითონ ქალია და ეს ეხამუშება (გელაშვილი, პირველი ორი წელ და ყველა სხვა).

Problèmes traductologiques: analyse et solutions

იმისათვის, რომ უკეთ დავინახოთ თუ როგორ განსხვავდება ე.წ. ქალური და მამაკაცური თარგმანები, განვიხილოთ შარლ ბოდლერის რამდენიმე ლექსი, რომლებიც ნათარგმნია როგორც მამაკაცი, ასევე ქალი მთარგმნელების მიერ. შევადაროთ თარგამანები და ვნახოთ, თუ რამდენად განაპირობებს მთარგმნელის ბიოლოგიური სქესი ნაწარმოების განსხვავებულ წაკითვას, გაგებას, ინტერპრეტაციას, შესაბამისად თარგმანის ხარისხს და შეგვიძლია თუ არა ვისაუბროთ, ქალურ და მამაკაცურ თარგმანზე.

ბოდლერის პოეზია ქართულ ენაზე ნათარგმნია გივი გეგეჭკორის, ზვიად გამსახურდისას, მერაბ მიქელაძის, სიბილა გელაძის, ლანა ღოლობერიძის, დავით აკრიანის და სხვათა მიერ.

საყოველთაოდ ცნობილია თარგმანმცოდნეობაში მიღებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის სწორედ პოეზის თარგმანი უქმნის ყველაზე დიდ პრობლემებს მთარგმნელს, პოეტი იქნება ის თუ არა, მისი სემანტიკური, სტილისტური, სტრუქტურული, სიმბოლური, პროსოდიული თავისებურებებიდან გამომდინარე.

ამთავითვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პრობლემის მრავალაგანზომილებიანობიდან გამომდინარე, რაც სხვა მოცულობის კვლევის განხორციელებას მოითხოვს და რისი წარმოდგენაც ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია, თარგმანების ორიგინალთან შედარებისას ყურადღებას გავამახვილებთ მთარგმნელის მიერ მხოლოდ პოეტის განწყობის, ლექსის „სულის“, როგორც ამას ფრანსუაზ ვილმარი იტყოდა, გამოხატვის ლექსიკური არჩევანის თავისებურებებზე და შემოვიფარგლებით 2-3 ლექსის თარგმანების შედარებითი ანალიზით.

პირველი ლექსი, რომლის თარგმანის არასრულ შეპირისპირებით ანალიზს გთავაზობთ, გახლავთ – *Albatros* – ალბატროსი.

ვიდრე თარგმანებს შევადარებდეთ, ძალიან მოკლედ დავახასიათებთ ბოდლერის ამ ლექსს. ცნობილია, რომ ბოდლერი ეკუთვნოდა ე.წ. „დაწყევლილი პოეტების“ თაობას, რომლებსაც მათი ეპოქის ადამიანები ვერ უგებდნენ. პოეტის ეს ლექსი წარმოადგენს ორმაგ ანალოგიას, რომელიც ორმაგ შედარებას ეფუძნება. ლექსში ხდება ფრინველის, ალბატროსის პერსონიფიცირება – პოეტი შედარებულია ფრინველს. პირველ სამ სტროფში პოეტი ალბატროსს ადარებს ჩამოვარდნილ მეფეს, ფრთოსან მოგზაურს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ფრთების მქონეა და ზეცისა და ზღვის მპყრობელია, ციდან ვარდება. ბოლო მეოთხე სტროფში შედარებისა და ჰიპერბოლური მეტაფორის გამოყენებით სიმბოლო ექსპლიციტური ხდება: პოეტი ასოცირდება გიგანტური ფრთების მქონე „ღრუბელთა პრინციპთან“. ადამიანებს შორის მოხვედრილი ალბატროსის ცხოვრება წარმოჩინდება როგორც

პარაბოლა, რომელიც პოეტის არსებობას განსაზღვრავს. ლექსის ბოლო სტროფში ხდება პოეტისა და ალბატროსის ასოცირება, რაც შემდეგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა: ფრთოსანი მოგზაური არის პოეტი, ეკიპაჟის წევრები (მეზღვაურები) – ხალხის ბრძო, ხოლო გემბანი, რომელზეც ალბატროსები ეცემიან – საზოგადოებრივი თეატრი.

გთავაზობთ პირველი სტროფის პირველი ორი სტრიქონის თარგმანების შეპირისპირებით ანალიზს:

Souvent, pour s'amuser, les hommes d'équipage
Prennent des albatros, vastes oiseaux des mers,

მერაბ მიქელაძის თარგმანში ეს ორი სტრიქონი ასე ჟღერს:

თავშესაქცევად უქმად მყოფი მეზღვაურები
ზღვათა მბრძანებელ ალბატროსებს დაატყვევებენ. (ბოდლერი,
სევდა და იდეალი 86)

სიბილა გელაძისეულ თარგმანში კი ვკითხულობთ:

მეზღვაურები, ძალზე ხშირად, გართობის მიზნით,
ზღვაში იჭერენ ალბატროსებს, დიდრონ ფრინველებს. (ბოდლერი,
ბოროტების ყვავილები 26)

უნდა ითქვას, რომ ლექსის „სული“, ცალკეული ელემენტების სიმბოლური დატვირთვა ორივე თარგმანშია შენარჩუნებული, მაგრამ მერაბ მიქელაძის თარგმანში პოეტის მიერ გადმოცემული ალბატროსების ხატი, რომელიც გავრცობილი მეტაფორის საშუალებით არის გამოხატული, უფრო მძაფრი აზრობრივი დატვირთვის მქონე ლექსიკური ერთეულებითაა გამოხატული. მთარგმნელი უფრო მეტ თავისუფლებას აძლევს თავს ინტერპრეტაციის ეტაპზე. ალბატროსები მოხსენებულია ზღვათა „მბრძანებელ“ ფრინველებად. სიბილა გელაძე, მათ, როგორც „დიდრონ“ ფრინველებს, ისე აღიქვამს. მიქელაძისეულ მამაკაცურ თარგმანში ალბატროსებს „დაატყვევებენ“. სიბილა გელაძისეული თარგმანით მათ „ზღვაში იჭერენ“. ამ ორ თარგმანში განსხვავება ინტერპრეტაციის დონეზეა.

ასევე იგრძნობა განსხვავება ქალურ და მამაკაცურ თარგმანს შორის, ამავე ლექსის მეორე სტროფში, სადაც პოეტი ალბატროსებს არა ზღვათა მბრძანებელ, არამედ ზეცის მპყრობელ ფრინველებად – Rois de l'azur – წარმოგვიდგენს:

À peine les ont-ils déposés sur les planches,
Que ces rois de l'azur, maladroits et honteux,
Laissent piteusement leurs grandes ailes blanches
Comme des avirons traîner à côté d'eux.

Problèmes traductologiques: analyse et solutions

მერაბ მიქელაძე ამ შემთხვევაშიც მეტ თავისუფლებას აძლევს თავს, ნაკლებად ერთგულია წყარო ტექსტისა, ვიდრე სიბილა გელაძე. მერაბ მიქელაძის თარგმანში ვკითხულობთ:

ლაუგარდ მეფენი ძირს გართხმულნი ითხოვენ შველას....
.....ფართოდ გაშლილი თეთრი ფრთები ძირს დაეშვებათ.

სიბილა გელაძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო ერთგულია წყარო ტექსტის შესატყვისი ლექსიკური ერთეულების შერჩევის თვალსაზრისით:

ლაუგარდის მეფე, ალბატროსი, დაირცხვენს უცებ
და უხერხულად ფრთებს ჩამოყრის, გაივლის ძნელად.

მთელი სტროფი „დატყვევებული“ თუ „დაჭერილი“ ალბატროსების უმწეო მდგომარეობის გამოხატვას ემსახურება. ამ შემთხვევაშიც მერაბ მიქელაძე ლექსის ორიგინალისგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, ალბატროსების უმწეო მდგომარეობას უფრო ამძაფრებს: ალბატროსები შველას ითხოვენ, რაზეც ორიგინალში არაფერია ნათქვამი, თუმცა მთარგმნელს მათი უმწეო მდგომარეობა ასეთი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. ქალი მთარგმნელი – სიბილა გელაძე, როგორც აღვნიშნეთ, უფრო ერთგული რჩება ორიგინალის.

ახლა კი შევადარებთ შარლ ბოდლერის ერთი სონეტის მერაბ მიქელაძის და ლანა ლოლობერიძის თარგმანებს. ეს გახლავთ სონეტი *La Cloche fêlée* – გაბზარული ზარი, რომელსაც თავდაპირველდ სათაურად ჰქონდა *Spleen* (სუვდა). ლექსი გამოხატავს ერთდროულად როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ ტკივილს, პოეტს აღარ აქვს შექმნის უნარი, უძლურია ცხოვრების წინაშეც. ლექსი თითქოს სმენითი აღქმით არის შექმნილი და ერთი მეორის მიყოლებით ბადებს შედარებას ზარის მხიარულ, მუღლერ ხმასა და პოეტის სულს შორის, რომელიც დასუსტებული და დაკონდილია. ადგილი აქვს ანალოგიებისა და ოპოზიციების მონაცემებას შინაგანი სასიამოვნო განწყობის ნაზ ბუნდოვანებასა და საბრძოლო ველის რეალისტურ და სასოწარმკვეთ საშინელებას შორის, სადაც სული, ეული და დაჭრილი, განადგურებულია, რასაც სიმბოლურად გამოხატავს სონეტის სათაურიც *La Cloche fêlée*.

გთავაზობთ სონეტის ბოლო ორი სტროფის თარგმანების ანალიზს ისევ და ისევ ლექსიკური საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით

Moi, mon âme est fêlée, et lorsqu'en ses ennuis

Elle veut de ses chants peupler l'air froid des nuits,

II arrive souvent que sa voix affaiblie

Semble le râle épais d'un blessé qu'on oublie
 Au bord d'un lac de sang, sous un grand tas de morts
 Et qui meurt, sans bouger, dans d'immenses efforts.

ორივე მთარგმნელი ქმნის იმ საკუთარ ენას, რომლითაც ისინი განსხვავებულად გადმოსცემენ უძლური პოეტის უმწეობას, რომელიც არ ეპუება მის ასეთ მდგომარეობას და ცდილობს, თუნდაც დასუსტებული ხმით, მაგრამ უზარმაზარი ძალისხმევით (immenses efforts) კვლავაც გაათბოს თავისი სიმღერებით ღამეების ცივი ჰაერი (l'air froid des nuits):

მერაბ მიქელაძის თარგმანში ვკითხულობთ:

თუ მოესურვა, რომ კაეშანს თავი არიდოს
 ცივი საღამო კვლავ სიმღერით გაახალისოს,
 ნატანჯი სული ამაოდ წვალობს, თითქოს ხმაც ერთმის,
 როგორც დაჭრილი ჯარისკაცი სიკვდილს რომ ებრძვის,
 სისხლიან ტბაში, უამრავი მკვდრების გროვაში,
 ტანჯვით რომ კვდება გარინდული, მარტო გლოვაშიც...

ლანა ლოლობერიძე კი ასეთ ვერსიას გვთავაზობს:

და როცა ჩემს სულს – შეჭირვებულს – უზომოდ უნდა
 აავსოს უცხო სიმღერებით ჰაერი სუფთა,
 უცებ ბურუსში გაკრთებიან ბნელი თვალები,
 და ყურში მწვდება იმ დაჭრილის ხმა უნუგეშო,
 ველზე რომ დარჩა მკვდართა შორის სისხლის გუბეში
 და კვდება მარტო, უსიტყვოდ და ნელი წვალებით.

ამ ორ თარგმანშიც შენარჩუნებულია პოეტის მთავარი სათქმელი, თუმცა აშკარაა განსხვავება ქალურ და მამაკაცურ ინტერპრეტაციას შორის. მერაბ მიქელაძე მკაცრი ტონებით გადმოსცემს პოეტის გაბზარული სულის მდგომარეობას ისეთი ეპითეტის გამოყენებით, როგორიცაა ნატანჯი, რომელსაც კიდევ ერთხელ იყენებს ბოლო სტრიქონში, როდესაც მის ასეთ მდგომარეობას ადარებს დაჭრილ ჯარისკაცს, ტანჯვით რომ კვდება ...სისხლიან ტბაში, უამრავი მკვდრების გროვაში.

ლანა ლოლობერიძის თარგამანში კი პოეტის სულის იგივე მდგომარეობა – l'âme fêlée – უფრო რომანტიული, ნაზი ფერებით არის გადმოცემული – პოეტის სული შეჭირვებულია, მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობს, აავსოს უცხო სიმღერებით ჰაერი სუფთა.

ამასთან ერთად, ვფიქრობთ, ლანა ლოლობერიძის თარგმანზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ მისი სოციალური სტატუსი, არამედ

Problèmes traductologiques: analyse et solutions

მისი პროფესიული იდენტობაც. ის კინორეჟისორის თვალით კითხულობს ტექსტს, რომლის ინსცენირებაც გადაუწყვეტია და რომელშიც საკუთარი კორექტივები შეაქვს. ასე ჩნდება მის თარგმანში – უცებ ბურუსში გაკრთებიან ბნელი თვალები, რასაც ორიგინალში არ ვხდებით.

ჩვენს მიერ მოხმობილი ორი ლექსის განსხვავებული სქესის მქონე მთარგმნელების მიერ განხორციელებული თარგმანების შედარების დროს კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმ მოსაზრების ჭეშმარიტებაში, რომლის თანახმადაც „მთარგმნელი აფართოებს, ადიდებს, ერთმანეთს ანაცვლებს ორ ენას, რის შედეგადაც სათარგმნი ტექსტიდან ის ქმნის ახალ მთლიანობას“. დერიდა მთარგმნელის ამ მცდელობას ადარებს საქორწიონ კონტრაქტს, რომელიც ბავშვის დაბადებას გვპირდება. მისი აზრით, ეს ბავშვი არასოდეს იქნება „მისი მშობლების უბრალო რეპროდუქცია. ის თავად იქნება გამოვლენებისა და ისტორიის წყარო“.

დასკვნისთვის უნდა აღნიშნის, რომ გენდერული სხვაობა აშკარად ჩანს თარგმანშიც. ანალიზმა გვიჩვენა, რომ კაცი მთარგმნელის თარგმანებში უფრო მეტ სიმძაფრეს და ნაკლებ სიზუსტეს, ანუ უფრო მეტ „ღალატს“ ვხვდებით, მაშინ როცა ქალის თარგმნილ ვარიანტებში გვაქვს უფრო მეტი სიზუსტე ორიგინალისადმი უფრო მეტი ერთგულება.

ბიბლიოგრაფია

ბოდლერი, შარლ, სევდა და იდეალი (ფრანგულიდან თარგმნა მერაბ მიქელაძემ), თბილისი, „GAMS პრინტი“, 2008.

ბოდლერი, შარლ, ბოროტების ყვავილები (ფრანგულიდან თარგმნა სიბილა გელაძემ), თბილისი, ლოგოსი, 2010.

ბოდლერი, შარლ „გაბზარული ზარი“ (ფრანგულიდან თარგმნა ლანა როლობერიძემ) <http://www.biblioteka.litklubi.ge/view-nawarmoebi.php?id=13295> (ნახვა 10 აპრილი 2020).

გელაშვილი, ნაირა, პირველი ორი წერე და ყველა სხვა, თბილისი, კავკასიური სახლი, 2009.

დეგაძე, მარინა – ვერბალური ქცევის გენდერული თავისებურებანი https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_11979_2.pdf (ნახვა 20 თებერვალი 2020).

კობახიძე, მაია – გენდერული ლექსიკა-ფრაზოლოგია ტიპოლოგიურ ქრილში (ქართული და ინგლისური ენების შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი) <http://tesau.edu.ge/files/uploads/disertacia/disertacia.pdf> (ნახვა 20 თებერვალი 2020).

Baudelaire, Charles, *Les fleurs du mal*, BIBEBOOK, 2016, https://www.bibebook.com/files/ebook/libre/V2/baudelaire_charles_-les_fleurs_du_mal.pdf (consulté le 12 mai 2020).

Derrida, Jacques, *L'écriture et la différence*, Paris, Seuil, 1967.

- Derrida, Jacques. *Des tours de Babel*. Première version publiée en 1985 dans *Difference in translation*, éd. Joseph Graham, Cornell University Press (édition bilingue) et dans «L'art des confins», *Mélanges offerts à Maurice de Gandillac*, PUF. https://redaprenderycambiar.com.ar/derrida/frances/tours_babel.htm (consulté le 20 juin 2020).
- Eco, Umberto, *Dire presque la même chose. Expériences de traductions*, Paris, Grasset, 2006 (traduit de l'italien par Myriem Bouzaher).
- Wuilmart, Françoise, «Le traducteur littéraire: un marieur, emphatique de cultures», in *Meta*, vol. 35, n° 1, mars 1990, p. 236-242.
- Wuilmart, Françoise. «Traduire un homme, traduire une femme... est-ce la même chose?», in *Palimpsestes*, 22 | 2009, <http://journals.openedition.org/palimpsestes/183> (consulté le 20 juin 2020).
- Yourcenar, Marguerite, de l'Académie française, *Les yeux ouverts, entretiens avec Mathieu Galey*, Paris, Éditions du Centurion, 1980.